



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

----- ნოე ქაშიბაძე
27 თებერვალი 2017 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ფინანსური აუდიტის ანგარიში N6/36
2016 წლის 1 იანვარი - 2017 წლის 1 იანვარი

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
პირობითი მოსაზრების საფუძველი.....	4
სხვა განსაკუთრებული გარემოებები.....	6
ბალანსი და მასთან დაკავშირებული ანგარიშები.....	11

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (შემდეგში „უმაღლესი საბჭო“) ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - ბალანსის დანართი ფორმა №2, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-2, წმინდა ღირებულების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №3, არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №4, მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი გრანტების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა № 4-1, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5, არასაოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5-1, ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე - ბალანსის დანართი ფორმა №6, ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №7, ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №8, ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში - ბალანსის დანართი ფორმა №9, ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში - ბალანსის დანართი ფორმა №10.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი წარმომადგენლობის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას არასწორად და უზუსტოდ ჰქონდა წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N3, ფორმა N5 და ფორმა N7 კერძოდ:

ფინანსური ანგარიშგება

- 8,880.00 ლარის ღირებულების 600 ერთეული ნაშრომი (წიგნები) აფხაზეთის შესახებ, 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მატერიალური მარაგების“ ნაცვლად,¹ არასწორად აღირიცხა „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლში.² ბალანსის დანართ ფორმა N5-ში აღნიშნული წიგნები ასევე არასწორად დაფიქსირდა სხვა ძირითადი აქტივების საწყის ნაშთად (8,880.00 ლარი), ხოლო მათი გასვლა 7,796.67 ლარის ოდენობით „სხვა ხარჯის“ ნაცვლად,³ არასწორად ჩამოიწერა „არასაოპერაციო ხარჯების“ მუხლიდან⁴ ბალანსის დანართ ფორმა N3-ში და N5-ში.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ინსტრუქციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტი;

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ინსტრუქციის 22-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ მე-5 თავის კლასიფიკატორის კოდი 3.1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები;

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტი;

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ხ“¹, 39-ე მუხლის პირველი, მე-3 პუნქტები;

აღნიშნულმა გარემოებამ არსებითი გავლენა იქონია ფინანსური ანგარიშგების სიზუსტესა და უტყუარობაზე;⁵

- ბალანსის დანართ ფორმა N2.2-ში სხვა კრედიტორულ დავალიანებებში ნაჩვენები თანხა 4,999.98 ლარის ოდენობით, წარმოადგენდა 2015 წლის 30 ნოემბერს ფრანგულ ენაზე ნაშრომის (წიგნები) გამოსაცემად შეცდომით (მიმწოდებლის მიერ არასწორად მითითებული ანგარიშის ნომრის გამო) გადარიცხულ თანხას. აღნიშნული ვალდებულება ბალანსის ფორმა N1-ში შესაბამის ანგარიშზე არ ასახულა,⁶ ხოლო სხვა კრედიტორული დავალიანების დაფარვა ბალანსის დანართ ფორმა N3-ში არასწორად აღირიცხა არასაოპერაციო ხარჯებში;⁷

აღნიშნულმა გარემოებამ არსებითი გავლენა იქონია ფინანსური ანგარიშგების სიზუსტესა და უტყუარობაზე⁸;

- ბალანსის დანართ ფორმა N3-ში და N5-ში „არასაოპერაციო ხარჯის სახით“ არასწორად იყო აღრიცხული უმაღლესი საბჭოს აპარატის ბალანსზე 2,178.00 ლარის ნარჩენი ღირებულებით რიცხული ავტომობილის გადაცემა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის;⁹

ყოველივე აღნიშნულით ვერ იქნა უზრუნველყოფილი არაფინანსური აქტივის გასვლის ოპერაციის ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად ასახვა¹⁰;

- ბალანსის დანართ ფორმა N-5 ში არ იყო ასახული ინფორმაცია 2,429.00 ლარის ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების და 2,209.61 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების მიღება-გასვლის შესახებ. ასევე, ბალანსის დანართ ფორმა N7 - ში არ იყო ასახული მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით ჯამში 16,639.70 ლარის ოდენობით¹¹;

ყოველივე აღნიშნულით ვერ იქნა უზრუნველყოფილი 4,638.61 ლარის ღირებულების მატერიალური ფასეულობებისა და 16,639.70 ლარის მოთხოვნების ფინანსურ ანგარიშგებაში დადგენილი წესით ასახვა¹².

⁵ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ზ“¹, 39-ე მუხლის პირველი, მე-3 პუნქტები, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტი, მე-20 მუხლის მე-7 პუნქტი, 22-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ მე-5 თავის კლასიფიკატორის კოდი 3.1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები;

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ინსტრუქციის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტი;

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ზ“¹, 39-ე მუხლის პირველი, მე-3 პუნქტები;

⁸ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები;

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-14 პუნქტი;

¹⁰ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები;

¹¹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები;

¹² საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები;

ამრიგად, პირობითი მოსაზრების საფუძველში წარმოდგენილი საკითხებიდან გამომდინარე, 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მატერიალური ფასეულობებისა და მოთხოვნების აღრიცხვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად (სწორად), სრულად და საიმედოდ ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას.¹³

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2016 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფინანსური ანგარიშგება, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლის“ პარაგრაფში აღნიშნული საკითხებისა, მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრისათვის.

სხვა განსაკუთრებული გარემოებები

პირობითი მოსაზრების აბზაცში წარმოდგენილი გარემოებების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე:

ხელფასის დარიცხვის საფუძვლები

უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ არ იყო დადგენილი სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვის ფორმა (სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და სპეციალური ტექნიკური საშუალება), რაც მოქმედი ინსტრუქციის თანახმად წარმოადგენს ხელფასის დარიცხვის ერთ-ერთ საფუძველს.¹⁴ ასევე, ხელფასების დარიცხვისას არ გამოიყენებოდა კანონმდებლობით დადგენილი, სახელმძღვანელოდ დამტკიცებული ფორმა - „სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი“.¹⁵ ხელფასის დარიცხვის საფუძვლებთან დაკავშირებით ოპერაციების შეუსაბამობა მარეგულირებელ წესებთან¹⁶ ნათლად მიუთითებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სისუსტეზე.

არაფინანსური აქტივის აღრიცხვა

უმაღლესი საბჭოს ბალანსში დანაკლისის სახით ირიცხებოდა 1,202.00 ლარის პირველადი ღირებულების ცეცხლსასროლი იარაღი-H/K USP COMPAQT მარკის პისტოლეტი, რომელიც შენახვისა და ტარების უფლებით რეგისტრირებული იყო (N 27-016831) აფხაზეთის ა/რ-ის იუსტიციის ყოფილი მინისტრის ვლადიმერ ნადარეიშვილის სახელზე. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 2004 წლის 17 დეკემბერს მიღებული ჰქონდა დადგენილება, რომლის თანახმად მოკლელუღიანი ცეცხლსასროლი სახელობითი იარაღის-პისტოლეტის (N27-016831) თ. ნადარეიშვილის ოჯახზე დატოვების შესაძლებლობის საკითხი უნდა განხილულიყო საქართველოს შსს სამინისტროს სათანადო დასკვნის შემდგომ. აუდიტის

¹³ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ 30-ე მუხლის მე-15 პუნქტი;

¹⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N 449 ბრძანების - „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფორმა №019;

¹⁶ „სახელმწიფო შიდა კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტი და მე-3 პუნქტი;

ჩატარების მომენტისათვის აღნიშნული საკითხი გადაწყვეტილი (მოგვარებული) არ იყო. (მოცემული ფაქტი ასახულია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული წინა წლის აუდიტის ანგარიშშიც). აუდიტის ჩატარების პროცესში, უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ მოწოდებული ინფორმაციით გაირკვა, რომ 2015 წელს ვ. ნადარეიშვილზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მის ოჯახში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად სამართალდამცავი ორგანოების მიერ ამოღებული იქნა მის სახელზე რიცხული ზემოთხსენებული იარაღი.

ზემოაღნიშნულ არაფინანსურ აქტივთან დაკავშირებით არსებული მოუგვარებელი პრობლემა წარმოადგენს კონტროლის სისტემის სისუსტეს და ფაქტობრივად არ იძლევა მხარჯავი დაწესებულების ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობის სათანადოდ განკარგვის საშუალებას.

სახელმწიფო შესყიდვები

უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ სახელმწიფო შესყიდვების 2016 წლის წლიური გეგმის დადგენილი წესით შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა განხორციელდა დადგენილ ვადაზე 17 დღის დაგვიანებით - 2015 წლის 7 დეკემბერს.¹⁷ გარდა აღნიშნულისა, 2016 წელს განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში 272 შემთხვევიდან 85 შემთხვევაში (ანუ 31.3%) დარღვეულ იქნა ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესაბამის ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის ვადები.¹⁸

2016 წლის 8 თებერვალს გაფორმებულ N15 და N16 ხელშეკრულებებში (ხელშეკრულების საგანი - მანქანის ტექნიკური მომსახურებები¹⁹) შევიდა ცვლილებები, რომლითაც გაიზარდა ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება.²⁰ კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვის N15 ხელშეკრულების პირვანდელი ღირებულება განისაზღვრა 4,660.00 ლარის ოდენობით, ხოლო შეთანხმების ოქმით ორჯერ შეტანილი ცვლილებების შემდგომ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრა 7,665.00 ლარით, რაც 64%-ით მეტია პირვანდელ ღირებულებაზე.²¹ მსგავსად, N16 ხელშეკრულების პირვანდელი ღირებულება განისაზღვრა 3,320.00 ლარის ოდენობით, ხოლო შეთანხმების ოქმით ოთხჯერ შეტანილი ცვლილებების შემდგომ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრა 4,710.00 ლარით, რაც 42%-ით მეტია პირვანდელ ღირებულებაზე²². ამასთან, შეთანხმების ოქმებში არ დაფიქსირებულა, თუ რა გახდა ცვლილების განხორციელების მიზეზი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების კუთხით

¹⁷ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი;

¹⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი და მე-4 პუნქტები; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ 22¹-ე მუხლის პირველი პუნქტი;

¹⁹ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის თ) ქვეპუნქტი;

²⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13-ის გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი; 2016 წლის 8 თებერვლის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N15 -ის და N16 -ის მე-9 მუხლის 9.2 პუნქტი;

²¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13-ის გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები; 2016 წლის 8 თებერვლის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N15 -ის მე-9 მუხლის 9.2 და 9.3 პუნქტები;

²² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13-ის გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები; 2016 წლის 8 თებერვლის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N16 -ის მე-9 მუხლის 9.2 და 9.3 პუნქტები;

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებები მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვაში არსებულ პრობლემებზე, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სისუსტეზე, რის გამოც ფაქტობრივად არაა უზრუნველყოფილი გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში დადგენილი წესების დაცვით შესყიდვების რაციონალურად განხორციელება.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

იმ პირობებში, როდესაც უმაღლესი საბჭოში მომუშავეთა რიცხოვნება ფაქტობრივად შეადგენდა 75 ერთეულს (მ.შ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რიცხოვნება იყო - 22), 2016 წელს მოკლე (4 თვემდე) ან ხანგრძლივი (12 თვემდე) პერიოდის განმავლობაში, აპარატში დასაქმებული იყო შტატგარეშე 28 მომუშავე (ანუ მომუშავეთა 37.3%)²³ და მათზე ანაზღაურდა 122,154.00 ლარი, რაც უმაღლესი საბჭოში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (332,081.87 ლარის) 36.8 %-ია, ხოლო შტატით მომუშავეთა „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (1,530.169.16 ლარის) 8.0 %-ია.

30 შემთხვევაში შტატგარეშე მოსამსახურეებზე 2016 წლის განმავლობაში აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით გაცემული იყო პრემიები ჯამში 11,964.00 ლარის ოდენობით.

უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება განპირობებული იყო რიგი სპეციფიკიდან გამომდინარე. კერძოდ, შრომითი ხელშეკრულებების დადება შტატგარეშე მოწვეულ სპეციალისტებთან ხორციელდებოდა საქართველოს ”შრომითი კოდექსის” და უმეტესად აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად ფრაქციების და კომისიების თავმჯდომარეების წარდგინებით. ძირითადად შტატგარეშე მომსახურეების ფუნქციებს შეადგენდა: ფრაქციებისა და კომისიების საკანონმდებლო და პოლიტიკური საქმიანობისათვის ხელშეწყობა, მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა, კანონპროექტებისა და დადგენილებების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, შენიშვნებისა და წინადადებების სისტემატიზაცია, აფხაზეთის პრობლემების გარშემო არქივებში დაცული, მასმედიაში და სხვა საინფორმაციო საშუალებებში გავრცელებული მასალების მოძიება, ფრაქციებისა და კომისიების თავმჯდომარეების სხვადასხვა დავალების შესრულება.

ამასთან, როგორც ფაქტობრივი შემოწმებით (აუდიტით) დადგინდა, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენის ფორმა განსაზღვრული არ ყოფილა, ხოლო საქმისწარმოების ერთიან სისტემაში, რაიმე ტიპის ოფიციალური დოკუმენტი (მოხსენებითი ბარათები, ცნობები, ანგარიშები და სხვ.), რომლითაც დადასტურდებოდა შტატგარეშე მოსამსახურეების მიერ შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (მომსახურების) შედეგი და აქედან მიღებული სარგებელი არ ფიქსირდება.

გარდა აღნიშნულისა, მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ფრაქციათა რაოდენობა (3 ფრაქცია) არ შეცვლილა, ხოლო აპარატის ფუნქციებისა და კომპეტენციების ზრდას ადგილი არ ჰქონია,

²³ 28/75 X 100

თუმცა შტატგარეშე მოსამსახურეებზე ანაზღაურებული თანხები ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით:

წელი	შტატგარეშე მომუშავეთა დინამიკა			
	გარკვეული პერიოდით დასაქმებული		მუდმივად მომუშავე	
	რაოდენობა	თანხა (ათ. ლარებში)	რაოდენობა	თანხა (ათ. ლარებში)
2013	10	50,8	6	44,9
2014	20	94,2	12	74,3
2015	21	110,2	17	91,3
2016	28	122,1	13	92,5
ჯამი	79	377,3	48	303,0

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გამო რომ შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტებით (მოხსენებითი ბარათებით, ცნობებით, ანგარიშებით და სხვ.) ვერ იდენტიფიცირდება შტატგარეშე მოსამსახურეების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, ფაქტობრივად ვერ დასტურდება (ვერ დგინდება) შტატგარეშე მომუშავეთა დასაქირავებლად გახარჯული სახსრების ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვა²⁴.

წინა წლებში ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

მიმდინარე აუდიტით კვლავ დაფიქსირდა ისეთი ნაკლოვანებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტებისას.²⁵ კერძოდ:

- სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა, კვლავ ატვირთული იყო კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით;
- უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული მოკლელულიანი ცეცხლსასროლი სახელობითი იარაღის კანონიერ მფლობელობაში დაბრუნებისა და სათანადოდ განკარგვის საკითხი, რომლის შესახებაც საუბარია „არაფინანსური აქტივის აღრიცხვის“ პარაგრაფში და რის შესახებაც აღნიშნული იყო წინა აუდიტის ანგარიშშიც, კვლავაც მოუგვარებელი დარჩა და უმაღლესი საბჭოს აპარატმა ფაქტობრივად ვერ უზრუნველყო არსებული პრობლემის აღმოფხვრა;


ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სას-ის მიერ წინა პერიოდში დაფიქსირებული ნაკლოვანებების გამოსწორების კუთხით, უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ რაიმე სახის არსებითი ღონისძიებები არ განხორციელებულა, რაც რა თქმა უნდა დადებითად არ

²⁴ საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა კონტროლის შესახებ“ მუხლი 7, პ.1.

²⁵ სას-ის 2016 წლის 24 თებერვლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N11/36; სას-ის 2015 წლის 18 თებერვლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N3/129; სას-ის 2014 წლის 6 ნოემბრის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში N17/129;

მოქმედებს ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტიანობაზე და საჯარო სახსრების
ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად მართვაზე.

აუდიტის ჯგუფი:
უფროსი აუდიტორი
აუდიტორ - ასისტენტი



ბონდო გასვიანი
ნინო ბრეგვაძე

27 თებერვალი 2017 წელი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ჩაბარების ვადა

20.01.2017წ.

ჩააბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1212		
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220		
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230		
070	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240		
080	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
090	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
100	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
110	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
120	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
130	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
140	მოკლევადიანი სესხები	1320		
150	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
160	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
170	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
180	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
190	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
200	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
210	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
220	გადახდილი დღგ	1356		
230	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
240	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
250	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების დანაკლისებით	1359		
260	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
270	მოთხოვნები ბარტერიით	1410		
280	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
290	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431		
300	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		
310	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	16639,70	16639,70
320	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
330	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
340	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		

350	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
360	გრძელვადიანი სესხები	1510		
370	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
380	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
390	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
II. არაფინანსური აქტივები				
400	სტრატეგიული მარაგები	1610		
410	სხვა მატერიალური მარაგები	1620		
420	შენობა-ნაგებობები	2110	877587,84	868446,30
430	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	202605,58	206157,61
440	სხვა ძირითადი აქტივები	2130	8880,00	1083,33
450	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2141		
460	საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება	2142		
470	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		
480	ფასეულობები	2300		
490	არაწარმოებული აქტივები	2400		
	ბალანსი		1105713,12	1092326,94

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები				
500	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
510	საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		
520	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
530	ვალდებულებები ბარტერით	3230		
540	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
550	გადასახდელი დღგ	3242		
560	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
570	სხვა გადასახდელები	3244		
580	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3245		
590	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
600	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
620	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
630	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
640	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
650	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
660	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
670	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
680	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
690	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
700	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		
710	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310		
720	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		
730	მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
740	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
750	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		
II. კაპიტალი				
760	წმინდა ღირებულება	5100	1105713,12	1092326,94
770	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
780	გაუნაწილებელი მოგება	5220		
790	დაუფარავი ზარალი*	5230		
	ბალანსი			
III. საცნობარო მუხლები				
800	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები	01		
810	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		

820	გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03	7408,54	7408,54
830	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	3148,21	4212,15
840	პირობითი მოთხოვნები	05		
850	პირობითი ვალდებულებები	06		
860	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
870	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	24663,22	32003,01
880	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	982,00	982,00
890	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	37081,78	40342,78
900	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11		
910	საბანკო გარანტიები	12		

ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება აფხაზეთის

